



სამართლის სკოლა

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის სამართლის მაგისტრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

121 ECTS ზოგადი ბიზნესის სამართლის კურიკულუმი

120 ECTS ბიზნესის სამართალი - საგადასახადო სამართლის კონცენტრაცია

სწავლების ენა

ქართული

სამაგისტრო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს იურისტები, რომლებსაც შეეძლებათ რთულ და სწრაფად ცვალებად ბიზნესის სამართლის გარემოში სწორი სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება, ექნებათ ბიზნესის სამართლის ტრანზაქციების წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო თეორიული ცოდნა და ქვეყანაში საუკეთესო პრაქტიკული პროფესიული უნარ-ჩვევები.

პროგრამა აგებულია ბიზნესის სამართლის იურისტის საჭიროებებზე და განკუთვნილია ადამიანებისთვის, რომლებიც გეგმავენ ადვოკატისა და იურისტის კარიერას ბიზნესის სამართლის მიმართულებით.

პროგრამის საშუალებით სტუდენტები ასევე შეიძენენ ანალიტიკურ და ლიდერობის უნარებს, რომლებიც მისცემენ მათ საშუალებას ეფექტიანად უპასუხონ გამოწვევებს ბიზნესის სამართლის ნებისმიერ სფეროში.

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება სამართლებრივი პრობლემების ყოვლისმომცველ და ინტერდისციპლინარულ შესწავლას, რაც ბიზნესის სამართლის შესწავლის სამ დონეს მოიცავს.

1. ბიზნესის სამართლის შესწავლის პირველ დონეზე სტუდენტი სასამართლო პრაქტიკის კრიტიკული ანალიზისა და არსებული სამეცნიერო ცოდნის

საფუძველზე იძენს ბიზნესის სამართლის ძირითადი ტრანზაქციების შესახებ ცოდნას. იგი ეცნობა ვალდებულებითი, სახელშეკრულებო სამართლის აქტუალურ პრობლემებს, შეისწავლის საწარმოს დაფუძნების, მართვის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის სრულ ციკლს, მასთან დაკავშირებულ სამეწარმეო და საგადასახადო სამართლებრივ პრობლემებსა და საერთაშორისო ბიზნეს გარიგებების შედგენისა და დადების თავისებურებებს.

2. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ შეძენილი პირველი დონის ცოდნა ემსახურება ბიზნესის სამართლის რეალური ტრანზაქციების განხორციელებისათვის (პროგრამის მეორე დონე) აუცილებელი ზოგადი და სპეციალური პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას. ბიზნესის სამართლის შესწავლის მეორე დონეზე სტუდენტი სწავლობს საქართველოში ფართოდ გავრცელებული ბიზნესტრანზაქციების განხორციელების პროცესს - ბიზნესის სამართლის გავრცელებული კომპლექსური ტრანზაქციების შესწავლის ფორმით.
3. პრაქტიკული ცოდნის შეძენის შემდეგ სტუდენტი იწყებს სწავლის მესამე დონეს, კერძოდ ბიზნესის სამართლის კლინიკისა და სამართლის პრაქტიკის ფარგლებში დამოუკიდებლად ეჭიდება კომპლექსური ბიზნესტრანზაქციების სამართლებრივ მოწესრიგებას (სტუდენტების ჯგუფის ფარგლებში) და პროგრამის ფარგლებში მიღებული ანალიტიკური უნარებისა და ფართო ცოდნის საფუძველზე ქართულ ენაზე ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს ბიზნესის სამართლის აქტუალური პრობლემის შესახებ. სტუდენტი პროგრამის ფარგლებში ასევე გაივლის სამართლის პრაქტიკას (6 ECTS -6*25 საათი).

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ და პროგრამით გათვალისწინებული სამივე დონის კურსების ათვისების საფუძველზე სტუდენტი მზად არის ეროვნული და საერთაშორისო ბიზნესის სამართლის კომპლექსური ტრანზაქციების სამართლებრივი გაფორმებისათვის.

შესაძლო დასაქმების სფეროები

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია წარმატებით განაგრძოს საქმიანობა, საერთაშორისო იურიდიული კომპანიების ადგილობრივ წარმომადგენლობებში, ადგილობრივ იურიდიულ კომპანიებში, საჯარო დაწესებულებებში, ეკონომიკის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში, ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკურ და იურიდიული სამსახურებში, ფინანსთა სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში, იმუშაოს იურისტად ნებისმიერ, საშუალო და მსხვილ საწარმოში, ისევე, როგორც დააფუძნოს საკუთარი იურიდიული კომპანია და დაიწყოს დამოუკიდებელის სამართლის პრაქტიკა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ შემდეგი კონცენტრაცია:

- საგადასახადო სამართალი

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კონცენტრაცია სტუდენტებს აღჭურავს დამატებითი კვალიფიკაციით საგადასახადო სამართლის მიმართულებებით, რაც აფართოვებს მათი დასაქმების შესაძლებლობებს ფინანსურ ინტესტიტუტებში, საერთაშორისო თუ ადგილობრივი აუდიტორულ კომპანიებსა და კერძო არბიტრაჟში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ სამართლის ბაკალავრის მქონე პირებს, გარდა ამისა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

1. სასურველია მინიმუმ 1 წლიანი მუშაობის გამოცდილება;
2. ინგლისური ენის ფლობა მინიმუმ B2 დონეზე;
3. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
4. გასაუბრება თავისუფალ უნივერსიტეტში;

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათ შორის, მობილობით.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები (კომპეტენციები)

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოყალიბდება ანალიტიკური, კრიტიკულად აზროვნებისა და სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, დამოუკიდებელი კვლევისა და კომუნიკაციის უნარები და ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ექნება სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს, კერძოდ:

- ბიზნესის სამართლის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს განსაზღვროს:
 - ა. ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესის ტრანზაქციების პრობლემური საკითხები;
 - ბ. ბიზნესის სამართლის ფართო თეორიული ცოდნა, რომ გასწიოს კონსულტაცია ბიზნესის ტრანზაქციების დაბეგვრის შესახებ;

გ. გააცნობიეროს ბიზნესის სამართლის ტრანზაქციისას წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

კურსდამთავრებული შეძლებს ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებას; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კერძოდ:

- ექნება დამოუკიდებლად მოქმედებისა და სამართლებრივი პრობლემების ორიგინალური მეთოდით გადაჭრის უნარი;
- ექნება ბიზნესის სამართლის პრობლემების დამოუკიდებლად კვლევისა და კვლევის შედეგების ბიზნესსამართლებრივი ტრანზაქციების განხორციელებისას გამოყენების უნარი;
- ექნება სამართლებრივი პრობლემების შესახებ გამართულად, სტრუქტურირებულად და დასაბუთების უნარი;
- ექნება პროცესული სამართლის ნორმების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების უნარი;
- გარიგებების დადებისა და მათ შესახებ მოლაპარაკებების წარმოების უნარი;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარი.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს, კერძოდ, ექნება:

- ბიზნესის სამართლის პრობლემების ღრმა ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- სრულყოფილი აბსტრაქტული აზროვნების უნარი;
- კომპლექსურ სიტუაციებში დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ღრმა კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი;
- ბიზნესის გარიგებების სამართლებრივი რისკების ანალიზისა და პრევენციის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და

უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, კერძოდ, ექნება:

- მშობლიურ ენაზე სრულყოფილი აკადემიური წერისა და კომუნიკაციის უნარი;
- უცხოურ ენაზე (ინგლისური) აკადემიური წერისა და კომუნიკაციის უნარი;
- უცხო გარემოში სწრაფი ადაპტირებისა და კვალიფიციურად მოქმედების უნარი;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიულ საქმიანობაში სრულყოფილად გამოყენების უნარი.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებას და მაღალ დონეზე სტრატეგიულად დაგეგმვას, კერძოდ:

- შეძლებს სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოძიებას/დამუშავებას/გამოყენებას;
- ნებისმიერი სირთულის წყაროების ორიგინალში გაცნობას;
- სამართლის ნორმატიული წყაროების, ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების, ქართული და საერთაშორისო სამეცნიერო სტატიების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნას;
- ექნება კომპლექსური სამართლებრივი პრობლემებისა და საკითხების მიმართ ინოვაციური და შემოქმედებითად მიდგომის უნარი;
- ექნება სწავლის, სწავლებისა და კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელების დაზედამხედველობის უნარი.

ღირებულებები

კურსდამთავრებული შეძლებს ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას, კერძოდ:

- ექნება განსხვავებული კულტურების პატივისცემისა და გაგების უნარი;
- შეძლებს კვლევისას ეთიკური ნორმების დაცვას;
- ექნება ინდივიდის ნების ავტონომიის, ინდივიდუალური თავისუფლებისა და სახელმწიფო ინტერესების დაბალანსების საფუძველზე ახალი ღირებულებების შექმნის უნარი.
- ექნება პროფესიული პასუხისმგებლობის და პროფესიული ეთიკური ქცევის ძირითადი პრინციპების ცოდნა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდი

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე და დოკუმენტებზე მუშაობის მეთოდი. წერიტი მუშაობის მეთოდი; დისკუსია/დებატები/პრეზენტაციები; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; თანამშრომლობითი სწავლება; სამაგალითო შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაშები დემონსტრირების მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; პრაქტიკული სიტუაციების ანალიზი და სიმულაციები, იმიტირებული სასამართლო პროცესი, მოლაპარაკების სიმულაცია.

მეთოდები გამოიყენება ლექციის, სემინარის, თუ სხვა სახის მეცადინეობების დროს.

ლექტორი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, უფლებამოსილია სასწავლო პროცესში დააკონკრეტოს და გამოიყენოს ისეთი მეთოდები, რომელიც არის პროგრამაში, ან არ არის მითითებული ან/და, სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, არ გამოიყენოს პროგრამაში მითითებული სწავლისა და სწავლების რომელიმე მეთოდი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

1. ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

2. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები. ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, ზეპირი და წერილი გამოცდა, პრეზენტაცია, ესეები, ჰიპოთეტური და რეალური საქმეების გადაჭრა, დისკუსია, სასამართლო მეგობრის პოზიცია, ხელშეკრულების პროექტი, საპროცესო დოკუმენტების მომზადება, სადიპლომო ნაშრომი და სხვა.

სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

პროგრამის კურიკულუმი ბიზნესის სამართლის წარმატებული ადვოკატებისა და იურისტების, სამოქალაქო სამართლის სფეროში მომუშავე მოსამართლეების მონაწილეობით შეიქმნა და პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. მასში გათვალისწინებულია დღევანდელი ბიზნეს-სამართლებრივი პრობლემები და მათი დაძლევის გზები.

კურიკულუმი შედგება შემდეგი კომპონენტისგან:

	ECTS
ბიზნეს ტრანზაქციების სამართლის კომპონენტი	25 კრ
ბიზნესის ორგანიზაციის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და დაბეგვრის სამართლის კომპონენტი	46 კრ
პროფესიული ზოგადი პრაქტიკული განათლების კომპონენტი	24 კრ
პროფესიული სპეციალური პრაქტიკული განათლების კომპონენტი - ბიზნეს ტრანზაქციების პრაქტიკუმი	16 კრ
სადიპლომო პროექტი	10 კრ
კრედიტები ხარისხისთვის (არანაკლებ)	121 კრ

ბიზნესის სამართლის ძირითადი პროგრამა - ჯამური საათი = 2925 ჯამური საათი (ერთი კრედიტი=25 საათი)

პირველ სემესტრში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგადასახადო კონცენტრაცია ან ძირითადი ბიძნესის სამართლის კურიკულუმი.

სამაგისტრო პროგრამა შედგება შემდეგი სავალდებულო კომპონენტებისგან:

ბიზნეს ტრანზაქციების სამართლის კომპონენტი		25 კრ
➤	ვალდებულებითი სამართალი - პრაქტიკული კურსი	6 კრ
➤	სახელშეკრულებო სამართალი - პრაქტიკული კურსი I	4 კრ
➤	სახელშეკრულებო სამართალი - პრაქტიკული კურსი II	5 კრ
➤	გარიგებების უზრუნველყოფისა და აღსრულების სამართალი	6 კრ
➤	სერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციების სამართალი	4 კრ

ბიზნესის ორგანიზაციის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და დაბეგვრის სამართლის კომპონენტი		46 კრ
➤	სამეწარმეო სამართალი I	4 კრ
➤	სამეწარმეო სამართალი II	4 კრ
➤	საგადასახადო სამართალი I	5 კრ
➤	საგადასახადო სამართალი II	5 კრ
➤	შედარებითი სამეწარმეო სამართალი	6 კრ
➤	შესავალი კომერციულ არბიტრაჟში	6 კრ
➤	მაღალგანვითარებული კომერციული უძრავი ქონება I	5 კრ
➤	მაღალგანვითარებული კომერციული უძრავი ქონება II	5 კრ
➤	გადახდისუუნარობის სამართალი	6 კრ

პროფესიული ზოგადი პრაქტიკული განათლების კომპონენტი		24 კრ
➤	სამართლებრივი წერა - ზოგადი კურსი	3 კრ
➤	სამოქალაქო სამართლის პროცესი - ზეპირი და წერილობითი უნარჩვევები	6 კრ
➤	ინტერვიუ კლიენტთან და კონსულტაცია - სიმულაცია	3 კრ
➤	ბიზნესის სამართლის კლინიკა	6 კრ
➤	სამართლის პრაქტიკა	6 კრ

ბიზნესის ორგანიზაციის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და დაბეგვრის სამართლის კომპონენტი		46 კრ
➤	სამეწარმეო სამართალი I	4 კრ
➤	სამეწარმეო სამართალი II	4 კრ
➤	საგადასახადო სამართალი I	5 კრ
➤	საგადასახადო სამართალი II	5 კრ
➤	შედარებითი სამეწარმეო სამართალი	6 კრ
➤	შესავალი კომერციულ არბიტრაჟში	6 კრ
➤	მაღალგანვითარებული კომერციული უძრავი ქონება I	5 კრ
➤	მაღალგანვითარებული კომერციული უძრავი ქონება II	5 კრ
➤	გადახდისუუნარობის სამართალი	6 კრ

პროფესიული სპეციალური პრაქტიკული განათლების კომპონენტი - ბიზნეს ტრანზაქციების პრაქტიკუმი		16 კრ
➤	ბიზნეს ტრანზაქციის პრაქტიკუმი - სიმულაცია	6 კრ
➤	გარიგებები (deals)	10 კრ

სადიპლომო პროექტი		10 კრ
➤	სამაგისტრო ნაშრომი	10 კრ

საგადასახადო სამართლის კონცენტრაცია შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	ECTS
ბიზნეს ტრანზაქციების სამართლის კომპონენტი	25 კრ
ბიზნესის ორგანიზაციის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და დაბეგვრის სამართლის კომპონენტი	24 კრ
პროფესიული ზოგადი პრაქტიკული განათლების კომპონენტი	24 კრ
პროფესიული სპეციალური პრაქტიკული განათლების კომპონენტი - ბიზნეს ტრანზაქციების პრაქტიკუმი	16 კრ
საგადასახადო სამართლის კონცენტრაცია	21 კრ
სადიპლომო პროექტი	10 კრ
კრედიტები ხარისხისთვის (არანაკლებ)	120 კრ

ბიზნეს ტრანზაქციების სამართლის კომპონენტი		25 კრ
➤ ვალდებულებითი სამართალი - პრაქტიკული კურსი		6 კრ
➤ სახელშეკრულებო სამართალი - პრაქტიკული კურსი I		4 კრ
➤ სახელშეკრულებო სამართალი - პრაქტიკული კურსი II		5 კრ
➤ გარიგებების უზრუნველყოფისა და აღსრულების სამართალი		6 კრ
➤ სერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციების სამართალი		4 კრ

ბიზნესის ორგანიზაციის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და დაბეგვრის სამართლის კომპონენტი		24 კრ
➤ სამეწარმეო სამართალი I		4 კრ
➤ სამეწარმეო სამართალი II		4 კრ
➤ საგადასახადო სამართალი I		5 კრ
➤ საგადასახადო სამართალი II		5 კრ
➤ შედარებითი სამეწარმეო სამართალი		6 კრ

პროფესიული ზოგადი პრაქტიკული განათლების კომპონენტი		24 კრ
➤ სამართლებრივი წერა - ზოგადი კურსი		3 კრ
➤ სამოქალაქო სამართლის პროცესი - ზეპირი და წერილობითი უნარჩვენები		6 კრ
➤ ინტერვიუ კლიენტთან და კონსულტაცია - სიმულაცია		3 კრ
➤ ბიზნესის სამართლის კლინიკა		6 კრ
➤ სამართლის პრაქტიკა		6 კრ

პროფესიული სპეციალური პრაქტიკული განათლების კომპონენტი - ბიზნეს ტრანზაქციების პრაქტიკუმი		16 კრ
➤ ბიზნეს ტრანზაქციის პრაქტიკუმი - სიმულაცია		6 კრ
➤ გარიგებები (deals)		10 კრ

საგადასახადო სამართლის კონცენტრაცია	21 კრ
➤ საგადასახადო აღრიცხვა	5 კრ
➤ ფინანსური ანგარიშგება	6 კრ
➤ საგადასახადო სამართლის პრაქტიკული კურსი	5 კრ
➤ საერთაშორისო საგადასახადო სამართალი	5 კრ

სადიპლომო პროექტი	10 კრ
➤ სამაგისტრო ნაშრომი	10 კრ

ბიზნესის სამართალი - საგადასახადო კონცენტრაცია - ჯამური საათი = 3000 ჯამური საათი (ერთი კრედიტი=25 საათი)

ადამიანური და მატერიალური რესურსი

თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით (იხილეთ დანართი).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ რესურსს. პროგრამა, ასევე, უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.